

1982



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებითა
და
ინსტრუქციითა
კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1982

№ 12
დეკემბერი
ДЕКАБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И
ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ

1982

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და
საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს
1982 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება

ნორჩ მხაზველთა მე-20 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა
და 21-ე შეკრების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აღნიშნავენ, რომ ნორჩ მხაზველთა მე-20 რესპუბლიკური შეკრება, რომელიც მიეძღვნა ზაბკოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს, მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარდა 1982 წლის 15-16 მაისს ქ. ცხაკაიაში, ყოველწლიურად ჩატარებულმა ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურმა კონკურსმა საგრძობლად შეუწყო ხელი მოსწავლეთა ხაზვით დაინტერესებასა და საინჟინრო გრაფიკაში ტალანტების გამოვლენის საქმეს, რასაც ადასტურებს ნორჩ მხაზველთა მე-20 რესპუბლიკური კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 69 რაიონისა და ქალაქის 439 სკოლის 3287 მოსწავლემ.

უნდა აღინიშნოს გამოფენაზე წარმოდგენილი ნახაზების, დიაგრამების, მაკეტების, მოდელების შესრულების მაღალი დონე, რაც მეტყველებს ადგილებზე ხაზვის მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ზრდაზე და მოსწავლეთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნათა ამალგებაზე. ხაზვამ დამსახურებულად დაიმკვიდრა საპატიო ადგილი სხვა სასწავლო დისციპლინების გვერდით. დიდად შეუწყო ხელი მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ინიციატივით რესპუბლიკის სკოლებში, პიონერთა სახელებსა და სასახლეებში შეიქმნა ხაზვის კაბინეტები, ჩამოყალიბდა ხაზვის წრეები. აღნიშნული მუშაობის ჩატარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, თელავის, გორის, ცხაკაიას, დუშეთის, რუსთავის, მანრაძის სახალხო განათლების განყოფილებებს.

უნდა აღინიშნოს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის და ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტების რექტორების აკადემიკოს თ. ლოლაძის და პროფესორ ნ. ვალიშვილის დიდი დამსახურება კონკურსების მაღალ დონეზე ჩატარებაში.

წელს პირველად თბილისის მე-3 საავეჯო ფაბრიკაში (დირექტორი ო. ნიჭარაძე) ხაზვის კაბინეტის ტექნიკური ხაზვის შემსწავლელმა წრემ შექმნა შემოქმედებითი ნახაზები სამზარეულოს ავეჯზე. წრის წევრებმა დაამზადეს კარადის და სხვა ავეჯის მოდელები (ხელმძღვანელი — მასწავლებელი ბ. გრძელიშვილი), რაც მოსწავლეებს აჩვენებს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობას.

კ. მარქსის სახ. საქ. 3 სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა № 1

494 F

საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს ნორჩ არქიტექტორთა გამე-
შეგერებმა კომპოზიციაში, მცირე არქიტექტურული ნაწარმოებების და-
პროექტებასა და მაკეტების დამზადებაში.

ნორჩ მხაზველთა მე-20 რესპუბლიკურ კონკურსს წინ უძღვოდა
დიდი მოსამზადებელი სამუშაოები: სისტემატურად ტარდებოდა ზონა-
ლური თათბირ-სემინარები საორგანიზაციო საკითხებზე და II ტურის
სავარაუდო ამოცანების შერჩევა-განხილვა.

რესპუბლიკის რკინიგზის სკოლები კონკურსში ცალკე ობიექტად
იღებენ მონაწილეობას და დამაკმაყოფილებელ შედეგებსაც აღწევენ.

შეკრების პირველ დღეს ცხაკაიაში გაიხსნა შინაარსობრივად და
კომპოზიციურად მიღიარო გამოფენა. გაიმართა სპეციალისტების საქ-
მიანი სჯა-ბაასი ნახაზების, მაკეტების, მოდელების შესრულების საკი-
თხებზე. აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად ამაღლდა მაკე-
ტების, მოდელების შესრულების კულტურა.

შეკრების მონაწილეთა ბინით, კვებით და კულტმომსახურებით უზ-
რუნველყოფის საქმეში დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს კომპარ-
ტიის ცხაკაიას რაიონულმა კომიტეტმა, საქართველოს ალკვ ცხაკაიას
რაიონულმა კომიტეტმა, ცხაკაიას სახალხო დეპუტატთა რაისბჭოს აღ-
მასკომმა, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბ-
ლიკურმა სასახლემ და ქ. ცხაკაიას სახალხო განათლების განყოფი-
ლებაში.

კონკურსის ჩატარებაში ადგილი ქონდა მთელ რიგ ნაკლოვანებებს.
კერძოდ, კონკურსში წლების განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღიათ
ყაზბეგის, ლანჩხუთის, ხულოს, მესტიის, ცაგერის, ყვარლის რაიონების
მოსწავლეებს, რაც გამოწვეულია ამ რაიონების სახალხო განათლების
ორგანოებისა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების სუსტი მუ-
შაობით მოსწავლეთა შორის ხაზვის სწავლების დონის ამაღლებისა და
კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სრულყოფის საქმეში.

კონკურსში მონაწილე რაიონების მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ
ამჟღავნებს სტანდარტულის ცოდნას, რის გამოც გამარჯვებულ მოსწავ-
ლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის სკოლებზე მოდის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქარ-
თველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტეს:

1. ნორჩ მხაზველთა მე-20 რესპუბლიკურ კონკურსზე საუკეთე-
სოდ შესრულებული საგამოფენო ნახაზების, მოდელების წარმოდგენი-
სა და საკონკურსო ამოცანების მაღალხარისხოვნად ამოხსნისათვის და-
ჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს I ხარისხის
დიპლომით — 107 მოსწავლე, II ხარისხის დიპლომით — 306 მოს-
წავლე, ხოლო სიგელით — 344 მოსწავლე.

გ. ნიკოლაძის სახელობის პრიზი გადაეცეს 2 მოსწავლეს.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტი-

ტუტის ალკკ კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდეს 25 მოსწავლე, ხოლო ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელით — 112 მოსწავლე (დანართი № 1).

2. ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში წლების განმავლობაში აქტიური მონაწილეობისათვის და მოსწავლეთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს:

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით 17 ხაზვის მასწავლებელი, 10 სკოლა, პიონერთა სახლი და ნორჩ ტექნიკოსთა სადგური.

„სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით 8 ხაზვის მასწავლებელი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით 38 ხაზვის მასწავლებელი (დანართი № 2).

3. 1982 წლის სექტემბრიდან 1983 წლის მაისამდე ჩატარდეს ნორჩ მხაზველთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსი. კონკურსი ჩატარდეს 3 ტურად მე-8—9—10 კლასების მოსწავლეთათვის.

4. I დასწრებული ტური ჩატარდეს 1982 წლის 19 დეკემბერს საქალაქო და სარაიონო ხელშემწყობი კომისიის მიერ.

5. II დასწრებული ტური ჩატარდეს 1983 წლის 13 მარტს ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

6. III დასწრებული ტური ჩატარდეს 1983 წლის 17 აპრილს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

7. მე-8 კლასის მოსწავლეთათვის ტური ჩატარდეს 1983 წლის 13 მარტს ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

8. 1983 წლის 21-22 მაისს ქ. ტყიბულში ჩატარდეს ნორჩ მხაზველთა კონკურსში გამარჯვებულთა 21-ე რესპუბლიკური შეკრება-გამოფენა.

კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარებისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, კონკურსის უიური, საკონკურსო ამოცანების შემდგენელი კომისია და სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა (დანართი № 3).

9. დამტკიცდეს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის მიერ წარმოდგენილი მე-20 რესპუბლიკური კონკურსის შედეგები და 21-ე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ხარჯთაღრიცხვა.

10. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა კონკურსში ფართოდ ჩააბან სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები.

11. კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების

სხდომებზე პერიოდულად იქნას მოსმენილი ნორჩ მხაზველთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსისათვის მზადების მიმდინარეობის საკონტროლო და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი კონკურსის წარმატებით ჩატარებისათვის.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) სახალხო განათლების განყოფილებებსა და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს გამოუყოს 21-ე რესპუბლიკური კონკურსისათვის საჭირო სახაზავი, დებულებების, დიპლომებისა და სიგელების დასაბეჭდი ქაღალდი, წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით.

13. გაზეთებმა „სახალხო განათლებამ“, „ახალგაზრდა კომუნისტმა“, „მოლოდიოჟ გრუზიამ“, „ნორჩმა ლენინელმა“ პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

14. ცნობა და გადაწყვეტილება „ნორჩ მხაზველთა მე-20 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და 21-ე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ“ გამოქვეყნდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

15. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებამ (ამხ. გ. ბუკია) კონტროლი დააწესონ ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ო. ძინძლაძე**

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
ს. ორჯონიკიძე



გ. ნიკოლაძის სახელობის პრიზით დაჯილდოვდნენ

1. ქურდაძე კობა მირიანის ძე — თბილისის 48-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
2. ხურციძე ილია ბუდუს ძე — ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

დანართი № 2

ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში წლების განმავლობაში აქტიური მონაწილეობისათვის და მოსწავლეთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდნენ ხაზვის მასწავლებლები:

1. ოცხელი ვალერიან ნიკოლოზის ძე — ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგე
2. ფირჩხაძე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე — ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
3. ბატიკაშვილი მერი არტაშას ასული — თელავის 1-ლი საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
4. კახნიაშვილი ნანა შალვას ასული — ქ. გორის სახალხო განათლების განყოფილების გამგე
5. ჭკადუა ნარგიზ შალვას ასული — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის ლაბორანტი
6. ოგანეზოვი სტეფანე ანდრიას ძე — თბილისის 64-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
7. შიოშვილი ვახტანგ ანდროს ძე — საგარეჯოს მე-4 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

დანართი № 3

ა) დამტკიცდეს ნორჩ მხაზველთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:

1. კობახიძე მანანა — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე)
2. ხაჩიძე მანონი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
3. როგაშოვა ტატიანა — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრის



მოადგილე (სოხუმის ზონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)

4. ცივაძე ეთერ — აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე (ბათუმის ზონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
5. ბეგიაშვილი გივი — სამხრეთ ოსეთის ა/ო სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილე
6. ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელი მუშაობის სამმართველოს უფროსი
7. ჩიქვანაია ლევან — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი
8. თუთბერიძე ჰამლეტ — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი
9. გავნიძე კარლო — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე
10. ჟღენტი თემურ — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი
11. ჩახავა იზოლდა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე
12. შავგულიძე ანზორ — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კაბინეტის გამგე (თავმჯდომარის მოადგილე)
13. უფლისაშვილი ჯუმბერ — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო გრაფიკის კათედრის გამგე
14. ბარბაქაძე სიმონ — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის უფროსი მასწავლებელი
15. ორჯონიკიძე ბუხუტი — ქ. ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილების გამგე
16. სოფრომაძე მზია — საქართველოს ალკ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მდივანი
17. კალაძე ვახტანგ — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების გამგე
18. ბოჭორიძე მანანა — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ტექნიკის სექტორის გამგე
19. მაჭავარიანი დიმიტრი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე (მდივანი)
20. გიორგაძე ქეთევან — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოს-

- წავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის მეთოდისტი
21. ჭანტურია ჯემალ — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის მეთოდისტი
 22. ლომიძე იური — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი (თბილისის ზონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
 23. გაბრიჩიძე დოდო — ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორი
 24. ეფრემაშვილი მიხეილ — თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ხაზვის მეთოდისტი
 25. არველაძე ლილი — რუსთავის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების გამგე

ბ) სარედაქციო საბჭო :

1. შავგულიძე ანზორ — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგე
2. მაჭავარიანი დიმიტრი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე
3. გიორგაძე ქეთევან — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის მეთოდისტი

გ) კონკურსის ქიური:

1. შავგულიძე ანზორ — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგე
2. ეპიტაშვილი ალფრედ — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ხაზვის კათედრის მასწავლებელი
3. კალაძე ვახტანგ — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების გამგე

საკონკურსო ამოცანების შემდგენელი კომისია:

1. კაჭარავა ბიჭიკო — აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
2. უნგიაძე ვლადიმერ — სსრკ მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერი, კონსტრუქტორი
3. ბარამიძე მაყვალა — თბილისის 48-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
4. გულისაშვილი მიხეილ — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
5. ბედიასვილი დავით — ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის,
საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების
სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის, საქართველოს სსრ
სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის,
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის
სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ
ხილვოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს
კოლეგიის 1982 წლის 23 სექტემბრის
დადგენილება

გარეული ხილის დამზადების საქმეში კომკავშირლებისა და
ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართვე-
ლოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ პროფტექნი-
კური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სოფ-
ლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეო-
ბის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ხილვოსტნეულის მეურნეო-
ბის სამინისტროს კოლეგიები აღნიშნავენ, რომ იმ წარმატებებში, რო-
მელსაც რესპუბლიკამ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება-
ში მიაღწია, გარკვეულ წვლილი შეიტანა რესპუბლიკის ახალგაზრდო-
ბამ. მისი თავდადებული შრომის შედეგად დამზადდა და სახელმწიფოს
მიეყიდა დიდძალი ხილი, ციტრუსი, ჩაი, ბოსტნეული და სოფლის მეურ-
ნეობის სხვა პროდუქტი.

ჩვენი ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში ახალგა-
ზრდობის აქტიური მონაწილეობის მიზნით და აგრეთვე იმის გათვალის-
წინებით, რომ საქართველოს ბევრი რაიონის ტყეებში დიდძალი ოდე-
ნობით მოიპოვება გარეული ხილის რესურსები, რომლის ათვისება
წლების მანძილზე არადმაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რესპუბლი-
კის ახალგაზრდობა იღებს ვალდებულებას აქტიური მონაწილეობა მი-
იღოს გარეული ხილის დამზადების გვემა-ვადებულებების შესრულების
საქმეში.

ამ ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ გა-
ნათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათ-
ლების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეო-
ბის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტ-
როსა და საქართველოს სსრ ხილვოსტნეულის მეურნეობის სამინისტ-
როს კოლეგიები ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს კომკავშირის სარლქო, საქალაქო, რაიონულ კომი-

ტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქები-სა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებებს, რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლებელთა დირექტორებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობების დირექტორებს, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს „საქსოფლ-დამზადების“ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონულ, საქალაქო გაერთიანებათა თავმჯდომარეებს გარეული ხილის დამზადების გეგმა-დავალების წარმატებით შესრულებისათვის გაატარონ ყოველგვარი ღონისძიება და ახალგაზრდობის ძალებით უზრუნველყონ:

ა) რესპუბლიკის ყველა რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გარეული ხილის რესურსების შესწავლა-დაზუსტება და დამზადების გეგმისა და ვალდებულების შესრულება;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ანწლის, შვინდის, მაქალო ვაშლის, პანტა-მსხლის დამზადების რაოდენობის გადიდებას იმის გათვალისწინებით, რომ დამზადებული შვინდი პირველ რიგში ჩაბარდეს ხილის წყლების ქარხნების გაერთიანებას და „საქკონსერვმრეწვის“ ქარხნებს.

2. დაევალოს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებას, კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს აამაღლონ სოფლად მომუშავე კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით კი გარეული ხილის დამზადების გეგმა-ვალდებულების შესრულების საქმეში.

3. გარეული ხილის დამზადების გეგმა-ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის გაიშალოს კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივებისა და ახალგაზრდებს შორის სოციალისტური შეჯიბრება.

ამასთან სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდეს დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

4. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სოფლის ახალგაზრდობის გან-

ყოფილებას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სოცმე-ჯიბრების ხელმძღვანელობის განყოფილებას და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს „საქსოფლდამზადების რესპუბლიკურ გაერთიანებას.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
3. ლორთქიფანიძე

საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
რ. ურუშაძე

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე **3. პარღიაშვილი**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ო. ჭინძლაძე**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **ს. რუხაძე**

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე
დ. მაღალაშვილი

საქართველოს სსრ ბანათელევის სამინისტროს კოლექტივის
1982 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება



საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა მე-8 რესპუბლიკური
ტურისტული შეჯიბრების შედეგებისა და მე-9 რესპუბლიკური
ტურისტული შეჯიბრების ჩატარების შესახებ

საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა მე-8 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრება ჩატარდა 1982 წლის 15-24 ივნისს ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაქვისთავის ტერიტორიაზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მოსწავლეთა 16 ტურისტულმა გუნდმა, მონაწილეთა საერთო რაოდენობა 272-ს შეადგენდა. გუნდების უმეტესობა სოფლის სკოლების მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული. შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიიღეს თბილისისა და ჭიათურის ზონების გუნდებმა, ხოლო ბორჯომისა და ლაგოდეხის ზონებიდან მხოლოდ თითო გუნდი გამოცხადდა.

შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთის, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, გარდაბნის, გორის, ლაგოდეხის, ასპინძის, ცხაკაიას რაიონებისა და ქ. ქუთაისის სკოლების მოსწავლეებმა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აჭარის ასსრ ბავშვთა ტურისტული სადგურის (დირექტორი ა. შ. გაგუა) საქმიანობა. საორგანიზაციო კომიტეტმა, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს, ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის, საქართველოს ალკკ ქობულეთის რაიკომისა და ქობულეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მხარდაჭერითა და დახმარებით ყველა პირობა შექმნა მე-8 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების მომზადებისა და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

შეჯიბრებაში საუკეთესოდ მომზადებული გამოცხადდნენ ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის საშუალო სკოლის (ხელმძღვანელი რ. ვ. დარჩია), ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლის (ხელმძღვანელი დ. დგებუაძე) უფროსი ასაკის ტურისტული გუნდები. უმცროსებს შორის გამოირჩეოდნენ გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების (ხელმძღვანელი თ. გ. ბარბაქაძე), ბათუმის მე-16 საშუალო სკოლის (ხელმძღვანელი რ. პ. მიქაძე), გორის რაიონის სოფელ სათემოს რეაწლიანი სკოლის (ხელმძღვანელი ვ. მ. კურატიშვილი), გაგრის რაიონის სოფელ ალახანძის საშუალო სკოლის (ხელმძღვანელი დ. ვ. ჩირიკბაია) მოსწავლეთა ტურისტული გუნდები, რომლებიც შეჯიბრების დებულებით გათვალისწინებულ სახეობებში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ.

საერთო შედეგების მიხედვით პიონერ-მოსწავლეთა მე-8 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების ჩემპიონები გახდნენ: უფროს ასაკობრივ ჯგუფში — ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის ქართული საშუალო სკოლის ტურისტული გუნდი (ხელმძღვანელები რ. დარჩია და ნ. ჩხაი-

ძე), უმცროს ასაკობრივ ჯგუფში — გარდაბნის რაიონის სოფელ ვამარ-
ჯვების საშუალო სკოლის ტურისტული გუნდი (ხელმძღვანელები
თ. ბარბაქაძე და ნ. პოპოვა).

ამასთან ერთად, შეჯიბრებამ გამოავლინა მთელი რიგი ნაკლებ
ნებები, კერძოდ: ზოგიერთი გუნდის ხელმძღვანელი ნაკლებ ყურადღე-
ბას აქცევს მოსწავლეთა გუნდებთან აღმზრდელობით მუშაობას, ზოგი-
ერთი გუნდი შეკრება-შეჯიბრებებზე გამოცხადდა სათანადო ინვენტა-
რისა და საპარადო ფორმების გარეშე, გუნდების ხელმძღვანელების ნა-
წილი კარგად არ იცნობს ტურისტული ყოფაცხოვრების ელემენტებს.
სახალხო განათლების განყოფილებების ტურიზმის საბჭოები ნაკლებად
ზრუნავენ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე გასაგზავნი გუნდებისა და პედა-
გოგების მომზადებაზე, არ უწევენ მათ ინსტრუქციით გათვალისწინებულ
დანიშნულებას, რაც მათ მიერ დებულების უცოდინარობით არის გამოწვე-
ული.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ
გ ა და წყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა მე-8 რესპუბლიკურ ტურის-
ტულ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, პიონერ-მოსწავ-
ლეთა შორის სამხედრო-პატრიოტული ჩვევების განმტკიცებისა და სკო-
ლაში ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის მაღალ დონეზე და-
ყენებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებუ-
ლის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკო-
ლებისა და სახალხო განათლების განყოფილების 6 მუშაკი (დანართი
№ 1). შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის ფასიანი საჩუქრე-
ბით, ვიმპლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ სკოლების ტურის-
ტული გუნდები (დანართი № 2).

2. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის წინადადე-
ბა პიონერ-მოსწავლეთა ტურისტული შეჯიბრებების 2 წელიწადში ერ-
თხელ ჩატარების თაობაზე.

3. პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბ-
რება ჩატარდეს 1984 წლის ივნისში ბორჯომის რაიონის ტერიტო-
რიაზე.

4. პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბ-
რების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საორგანიზა-
ციო კომიტეტი (დანართი № 3).

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხ-
რეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების გან-
ყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართვე-
ლოს უფროსმა:

გააქტიურონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერ-

ნატებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ტურიზმის საბჭოს მუშაობა, უზრუნველყონ სასკოლო, სარაიონო, საქალაქო და ზონალური შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარება, ამ შეჯიბრებებში მოსწავლეთა კოლექტივების ფართოდ ჩაბმა, გუნდების სათანადოდ მომზადება, მათთვის საჭირო ინვენტარითა და ფორმებით აღჭურვა და რესპუბლიკის შეჯიბრებაში ორგანიზებულად გამოგზავნა.

ბ. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელიობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქიქელიძე**

საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა მე-8 რესპუბლიკურ ტურისტულ
 შეჯიბრებაში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისა და სკოლაში
 ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის მაღალ დონეზე
 დაყენებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების
 წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდნენ შემდეგი
 პედაგოგები:

1. ბაქუნაიშვილი რევაზ ილიას ძე — ქობულეთის რაიონის სახალხო
 განათლების განყოფილების მეთოდისტი
2. გაგუა ამირან შალვას ძე — აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს
 ბავშვთა ტურისტული სადგურის დირექტორი
3. დარჩია რევაზ ვასილის ძე — ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის
 ქართული საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი
4. ვერულიძე რომან შოთას ძე — ქობულეთის რაიონის სახალხო გა-
 ნათლების განყოფილების დაწყებითი სამხედრომომზადების მეთო-
 დისტი
5. კურატაშვილი ვალოდია მიხეილის ძე — გორის რაიონის სოფელ
 სათემოს რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის ამგვ
6. ჟვანია ეთერ კაპიტონის ასული — თბილისის მ-2 ექსპერიმენტუ-
 ლი საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისსარეშე მუშაობის
 ორგანიზატორი

საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა მე-8 რესპუბლიკურ ტურის-
ტულ შეჯიბრებაში მობოვებული წარმატებებისათვის ფასიანი
საჩუქრებით, ვიმპელებითა და სიგელებით დაჯილდოებული
გუნდების სია:

1. ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის ქართული საშუალო სკოლა —
სამახსოვრო თასით, ფასი 52 მან. 30 კაპ.
2. ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათის საშუალო სკოლა — მეგაფონ-
ნით, ფასი 17 მან. ზურგჩანთით ფასი 21 მან.
3. ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლა — მეგაფონით, ფასი 17 მან.
4. ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლა — კარვით, ფასი 65 მან.
5. ასპინძის საშუალო სკოლა — კარვით, ფასი 65 მან.
6. გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის საშუალო სკოლა — მეგაფონით,
ფასი 17 მან.
7. ბათუმის მე-16 საშუალო სკოლა — მეგაფონით, ფასი 17 მან.
8. ქუთაისის 29-ე საშუალო სკოლა — გასაბერი ლეიბით, ფასი 20 მან.
9. ცხაკაიას მე-4 საშუალო სკოლა — გასაბერი ლეიბით, ფასი 20 მან.
10. გორის რაიონის სოფელ სათემოს რვაწლიანი სკოლა — კარვით,
ფასი 65 მან.
11. ლავოდეხის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლა — გასაბერი ლეიბით,
ფასი 20 მან.
12. გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლა — სა-
ბილე ტომრით, ფასი 33 მან.

4944

კ. შარქის სხ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
გიგლიცხეთა № 1

საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკური ტურისტული
შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

1. დარჩია მ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
2. ზარქუა ე. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმ-ზრდებლობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე)
3. სამხარაძე ჯ. — ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)
4. ნიკოლავა ო. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის გამგე
5. კუპატაძე პ. — ქ. თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი
6. ბობოხიძე ო. — ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგე
7. მაჭარაშვილი მ. — ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის მეთოდური განყოფილების გამგე
8. კომანიძე თ. — ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე
9. ჩადუნელი ნ. — ბორჯომის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე
10. გაგუა ა. — აჭარის ასსრ ბავშვთა ტურისტული სადგურის დირექტორი
11. ფეტელავა პ. — აფხაზეთის ასსრ ბავშვთა ტურისტული სადგურის დირექტორი
12. ჩაკვეტაძე ა. — ქუთაისის საქალაქო ბავშვთა ტურისტული სადგურის დირექტორი
13. ჯაბიევი ზ. — სამხრეთ ოსეთის ა/რ ბავშვთა ტურისტული სადგურის დირექტორი

საქართველოს სსრ ბანათლების სამინისტროს კოლეგიის,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს
კოლეგიისა და საქართველოს სსრ „დოსაფის“
ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის
1982 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრების
შედეგებისა და მე-5 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების
შესახებ.

აღვნიშნავთ, რომ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრება ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარდა.

შეჯიბრების დასკვნით ტურში, რომელიც ქ. ქუთაისში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო ქ. ქ. თბილისის რნ-ე, სოხუმის მე-14, რუსთავის მე-11, ცხინვალის მე-3, გორის მე-6, ზუგდიდის მე-5, ქუთაისის მე-2 და მე-4 (კონკურსგარეშე) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთა გუნდებმა.

სპეციალურმა ჟიურიმ შეჯიბრების შედეგების მიხედვით პირველი ადგილი მიაკუთვნა ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის გუნდს, მეორე ადგილი — ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლის გუნდს, ხოლო მესამე ადგილი — სოხუმის მე-14 საშუალო სკოლის გუნდს.

საპრიზო ადგილებზე გამოსულ გუნდებსა და ყველა მონაწილე მოსწავლე ავტომობილისტს საზვიამო ვითარებაში გადაეცათ პრიზები, დიპლომები, სიგელები, სამკერდე ნიშნები და ფასიანი საჩუქრები.

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკურ დასკვნით ტურში გამარჯვებული ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის გუნდი (სკოლის დირექტორი ა. სანდუხაძე, მწვრთნელი გ. ჩირვაძე) 5 მოსწავლის შემადგენლობით მივლინებულ იქნა ქ. ტოლიატში ყურნალის „ზარულიომ“ პრიზზე მოსწავლე ავტომობილისტთა მე-14 საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

საკავშირო შეჯიბრებაზე რესპუბლიკიდან წარგზავნილმა ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ავტომობილისტებმა შეუბოვარეს სპორტული შეჯიბრების შედეგად პირველ ლიგაში I ადგილი დაიკავეს და მომავალი წლისათვის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. გუნდი დაჯილდოვდა თასითა და პირველი ხარისხის დიპლომით, ხოლო მისი წევრები პირველი ხარისხის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. მოსწავლე ლ. გუბელაძე პირად ჩათვლაში ვაყვებს შორის III ადგილის დაკავებისათვის III ხარისხის დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით იქნა დაჯილდოებული.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრებისათვის წარმატებით მოემზადნენ და ორგანიზებულად



ჩაატარეს როგორც შინასასკოლო, ასევე ზონალური ტურები სფრანგეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორისა და ზუგდიდის განათლების განყოფილებებმა, სკოლების დირექტორებმა, ავტოსაქმის მასწავლებლებმა და ავტომობილის ტარების საწარმოო სწავლების ოსტატებმა.

რესპუბლიკური შეჯიბრების დასკვნით ტურში საგზაო მოძრაობის წესების, ავტომობილის მოწყობილობისა და ექსპლუატაციის საფუძვლების კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს ქ. ქ. ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების აღსაზრდელებმა.

ამასთან, მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრების მომზადებისა და მისი ჩატარების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები. რაიონული (საქალაქო) და ზონის ცენტრის მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტების, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დირექტორების, ავტოსაქმის მასწავლებლებისა და ავტომობილის საწარმოო სწავლების ოსტატთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ უთმობს შეჯიბრებისათვის მოსწავლეთა სისტემატური მზადებისა და ორგანიზაციის საქმეს; სახალხო განათლების, შინაგან საქმეთა და „დოსააფის“ ადგილობრივი ორგანოები საკმაო კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურების ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს, ამის შედეგია, რომ დასკვნით ტურზე მოსწავლეთა საკმაო ნაწილმა არასათანადო თეორიული მომზადება, ავტომობილის ტარებისა და მისი ტექნიკური მომსახურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაბალი დონე გამოავლინა.

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკური შეჯიბრების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გაა დაწესეს:

1. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრების მომზადება-ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისა და ჟურნალის „ზარულიომ“ პრიზზე მე-14 საკავშირო შეჯიბრებაში ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ავტომობილისტთა გუნდის წარმატების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ:

ა) საქართველოს სსრ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით — ა. სანდუხაძე, ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით — დ. გაბრიჩიძე, ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილების შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის ინსპექტორი.



2. აღინიშნოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბიურო-ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურისა (დირექტორი გ. ებიჭაშვილი) და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების (გამგე ნ. ხანთაძე) კარგი მუშაობა მოსწავლე ავტომობილისტთა რესპუბლიკური შეჯიბრების დასკვნითი ტურის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში.

3. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკური შეჯიბრება ჩატარდეს სამ ეტაპად: რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური.

რაიონული (საქალაქო) შეჯიბრება ჩატარდეს 1983 წლის 20 მარტამდე, ზონალური — 1983 წლის 28-29 მარტს, ხოლო დასკვნითი რესპუბლიკური 1983 წლის 9—11 ივნისს.

4. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

კობახიძე მ. კ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი

მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

შადური თ. დ. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მო-

ადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ჩხაიძე თ. დ. — საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტე-

ტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საორგანიზაციო

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

დობორჯგინიძე ზ. ს. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

სასკოლო ინსპექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

ხაჩიძე მ. ი. — საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი

სუჯაშვილი ვ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკო-

ლების სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი

გორგოძე ლ. ი. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს

სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი

მაჩაბელი თ. ს. — საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლო-

ნითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს სასწავლო მუშაობის

ორგანიზაციის განყოფილების გამგე

წიქარიშვილი პ. გ. — საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტ-

ტროს სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების უფ-

როსი ინჟინერი

ტატიშვილი თ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი

დევედარიანი გ. ზ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

სასკოლო ინსპექტორი

ტონია ს. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკო-

ლო ინსპექტორი



ეპიტაშვილი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

მანგიაშვილი შ. ზ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

რესპუბლიკური სასკოლო-მეთოდური ცენტრის შრომითი სწავ-

ლების განყოფილების გამგე

კილურაძე მ. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სა-

ხელმწიფო ავტონისპექციის სამმართველოს პროპაგანდისა და

აგიტაციის სამმართველოს ქვეგანყოფილების ინსპექტორი

სავეციკი ვ. ა. — საქართველოს სსრ „დოსააფის“ რესპუბლიკური სპორ-

ტული კლუბის უფროსი

5. დამტკიცდეს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკური

შეჯიბრების ჩატარების დებულება (თან ერთვის).

6. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკური შეჯიბრების

ჩამტარებელმა რესპუბლიკურმა კომიტეტმა:

6. 1. შეადგინოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრების ჩატარებას და გაწეული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს;

6. 2. დროულად ჩაატაროს მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრების მოსამზადებელი მუშაობა და რაიონები (ქალაქები) უზრუნველყოს სახელმძღვანელო და მეთოდური მასალებით;

6. 3. განახორციელოს ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრების ჩატარებაზე.

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკური შეჯიბრების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ჩატარებაზე.

8. ზონის ცენტრის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა 1983 წლის 20 იანვრამდე წარმოადგინონ ცნობა ზონის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობის შესახებ.

9. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების „დოსააფის“ რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

9. 1. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტრო-

ლი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკური შეჯიბრების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ორგანიზებულად ჩატარებაზე;

9. 2. დახმარება აღმოუჩინონ მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრების ჩამატარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს შეჯიბრებისათვის საჭირო პოლიგონების შერჩევისა და მოწყობის საქმეში;

9. 3. გამოყონ მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის ავტომანქანები;

9. 4. შექმნან მსაჯთა კოლეგია სათანადო სპეციალისტებისაგან მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდების გამოსავლინებლად მთავარი მსაჯის, მთავარი მდივნისა და 7 წევრის შემადგენლობით.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგვემო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში 1983 წლისათვის გაითვალისწინოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკური შეჯიბრებისა და მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდის ორკვირიანი შეკრების ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1983 წლისათვის გამოუყოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის ქალაქი.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველომ (ამხ. ა. ვაშაკიძე):

12. 1. უშუალო მონაწილეობა მიიღოს მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარებაში;

12. 2. უზრუნველყოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკურ, ზონალურ და რაიონულ (საქალაქო) შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების წევრთა მომზადება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში;

12. 3. უზრუნველყოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-15 საკავშირო შეჯიბრებისათვის მე-5 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებ-



ბული გუნდის წევრთა ვარჯიში მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში.

13. მოსწავლე ავტომობილისტთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების ყველა წევრისათვის დაწესებულია სამახსოვრო საშუალება ნიშნები.

14. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორებმა (ამხ. ამხ. ა. შველიძე, ა. გოგელია) დააწესონ თითო პრიზი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკურ დასკვნით შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდებისათვის; პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები მოსწავლე ავტომობილისტთა რესპუბლიკური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

15. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდებისათვის დაწესდეს ოთხი სამახსოვრო პრიზი, მათ შორის:

- საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი პრიზი;
- საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტის ერთი პრიზი.

16. ეთხოვოს საქართველოს ალკა ცენტრალურ კომიტეტს დააწესოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდისათვის სამი პრიზი.

17. ეთხოვოს საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს დააწესოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდებისათვის ერთი გარდამავალი და სამი სამახსოვრო პრიზი.

18. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი) და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტონსპექციის სამმართველოს (ამხ. ვ. შალამბერიძე).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **მ. ქინქლაძე**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი
3. შალური

საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ნანეიშვილი

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების დებულება

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკურ შეჯიბრებას ატარებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს, საქართველოს სსრ ავტომობილისტთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს სსრ „დოსააფის“ რესპუბლიკური სასპორტო კლუბის მონაწილეობით.

შეჯიბრების მიზანი

მოსწავლეთა შორის ავტომობილისა და საავტომობილო სპორტისადმი ინტერესის აღზრდა, სამხედრო-გამოყენებითი ჩვევების გამოშვება, ფიზკულტურული კომპლექსის მშთ მესამე საფეხურის „ძალა და გამბედაობა“ ნორმების შესრულებისადმი ხელის შეწყობა.

შეჯიბრების ორგანიზაცია და ჩატარების წესები

შეჯიბრების ორგანიზატორები არიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და საქართველოს სსრ „დოსააფის“ რესპუბლიკური სასპორტო კლუბი.

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-5 რესპუბლიკური შეჯიბრება ტარდება სამ ეტაპად — რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური, შესაბამისად იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები.

რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი განისაზღვრება 5 წევრით. კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 11 წევრით, კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური შეჯიბრების ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია რვა ზონად, ზონების ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
2. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ, მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
3. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხაშურისა და ქარელის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
4. ქ. თბილისი — ქ. თბილისის, ახალქალაქის, ბოლნისის, დმანი-

სისა და თეთრიწყაროს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
5. ქ. ქუთაისი — ქ. ქუთაისის, ამბროლაურის, ლენტეხის, მაია-
კოვსკის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულის, ზესტაფონის, ცა-
გერის, თერჯოლის, ჭიათურის, წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონე-
ბის სკოლების მოსწავლეებისათვის

6. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავის, ახმეტის, გარდაბნის, გურჯაანის,
ლაგოდეხის, მარნეულის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, თელავის,
წალკისა და წითელწყაროს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. ქ. გორი — ქ. გორის, ახალციხის, ასპინძის, აღიგენის, ბორჯო-
მის, ლენინგორის, ღუშეთის, მცხეთის, კასპის, თიანეთისა და ყაზბეგის
რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

8. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის, ზუგდიდის, აბაშის,
გეგეჭკორის, ვანის, სამტრედიის, მესტიის, ხობის, ცხაკაიას, წალენჯი-
ხისა და ჩხოროწყუს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის.

რაიონული (საქალაქო) ეტაპი ტარდება 1983 წლის 20 მარტამდე.
რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი იმ გამარჯვებული
გუნდის სიას, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, წარადგენს ზო-
ნალურ საორგანიზაციო კომიტეტში 1983 წლის 25 მარტამდე, ზონა-
ლურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ზონალური შეჯიბრება ტარდება 1983 წლის 28-29 მარტს ერთ-
დროულად ყველა გუნდისათვის.

ზონალურ ტურში გამარჯვებული გუნდის სიას, რომელმაც პირ-
ველი ადგილი დაიკავა მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრებაში, ზო-
ნის საორგანიზაციო კომიტეტი ავზავნის რესპუბლიკურ საორგანიზაციო
კომიტეტში 1983 წლის 10 აპრილამდე.

მესამე ეტაპი — რესპუბლიკური შეჯიბრება ტარდება 1983 წლის
9-11 ივნისს ქ. თბილისში ერთდროულად რვა გამარჯვებული გუნდი-
სათვის.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი, რომელიც პირ-
ველ ადგილს დაიკავებს, იგზავნება მოსწავლე ავტომობილისტთა მე-15
საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში 1-ლ, მე-2, მე-3 ადგილებზე გამოსუ-
ლი გუნდის წევრები (მოსწავლე ავტომობილისტები) ჯილდოვდებიან
I, II, III ხარისხის სიგელებითა და ფასიანი პრიზებით.

შეჯიბრებისა და ვარჯიშების ჩატარებისათვის გამოყოფილი ავტო-
მანქანების მომსახურების, გუნდების შეჯიბრების ადგილზე გასაგზავნ
და უკან დასაბრუნებელ ხარჯებს გაიღებენ საქართველოს სსრ განათლე-
ბის სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტ-
როები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქე-
ბისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები.

შეჯიბრების მოწყობის, მოსწავლე ავტომობილისტთა ბინითა და
კვებით უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯებს გაიღებენ საქართველოს

ბის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ზრუნების ცენტრების სახალხო განათლების განყოფილებები.

შეხვედრის პროგრამა

მოსწავლეები ეფიბრებიან საავტომობილო მრავალჭიღში, რომელიც ლიც შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. საგზაო მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსი
2. ავტოსტაფეტა
3. ჩქაროსნული მანევრირება (ავტომობილის ფიგურული ტარება)
4. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა (პირობები თან ერთვის).

გუნდების შემადგენლობა და უზრუნველყოფა

მოსწავლე ავტომობილისტა მე-15 საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობს მე-5 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი, რომელიც დაიკავებს პირველ ადგილს და შემდგარია საშუალო სკოლის VII—X კლასების მოსწავლეების, სკოლებში წარების, სექციებისა და ნორჩ ავტომობილისტთა კლუბების წევრებისაგან.

რაიონის (ქალაქის) ნაკრები გუნდი ზონალურ და რესპუბლიკურ დასკვნით შეჯიბრებებში არ დაიშვება.

მონაწილე გუნდების რაოდენობას განსაზღვრავენ ორგანიზატორები. გუნდი შედგება 8 კაცისაგან (ხუთი მონაწილე, მათ რიცხვში ერთი ქალიშვილი, სათადარიგო, მწვრთნელი და ხელმძღვანელი).

გუნდი, რომელშიაც არ მონაწილეობს ქალიშვილი, შეჯიბრზე არ დაიშვება.

ხარჯებს შეჯიბრების ადგილზე გასამგზავრებლად და უკან დასაბრუნებლად გაიღებს ის ორგანიზაცია ან დაწესებულება, ვისგანაც გუნდი იგზავნება.

შეჯიბრების ჩატარების ადგილი და დრო მონაწილეთა მანქანები

ზონალური ტური ტარდება ზონის ცენტრებში, ხოლო რესპუბლიკური — ქ. თბილისში.

სკოლებში შეჯიბრებისათვის მზადება ტარდება შტაბით განკუთვნილ მანქანებზე.

რაიონულ (ზონალურ) და რესპუბლიკურ შეჯიბრებებს ავტომანქანებით „მოსკვირ“-412 უზრუნველყოფენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და „დოსაფის“ ადგილობრივი ორგანიზაციები.

შეჯიბრებაზე გუნდები ცხადდებიან ერთი დღით ადრე და რჩებიან შეჯიბრების დამთავრებამდე.

ზონალური ტურის გახსნა, დახურვა და გამარჯვებული გუნდის მოსწავლეთა დაჯილდოება ტარდება საზეიმო ვითარებაში.

შედეგების განსაზღვრა

პირად ჩათვლაში გამარჯვებულთა განსაზღვრა ხდება საჯარო მოქმედების მინიმალური ჯამით, რომელიც მონაწილეებს ერიცხება ფიზიკურულ ტარებაში, სროლასა და მოძრაობის წყების ცოდნის გამოსარკვევად დასმულ საკონკურსო კითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით.

თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპორტსმენს, რომელიც უჩვენებს საუკეთესო შედეგს ჩქაროსნულ მანევრირებაში, თუ მაჩვენებლები ამის შედეგად თანაბარი იქნება, მხედველობაში მიიღება საუკეთესო შედეგი სროლაში. თუ ამის შემდეგაც მაჩვენებლები თანაბარი იქნება, მაშინ მსაჯთა კოლეგია დანიშნავს დამატებით სავარჯიშოებს.

გამარჯვებული გუნდი მრავალჭიდის ცალკეულ სახეებში განისაზღვრება საჯარო მოქმედების მინიმალური ჯამით, რომელიც ერიცხება გუნდის ოთხ მონაწილეს (მათ შორის გოგონას). ჩათვლაში არ შედის სპორტსმენი, რომელიც მიიღებს საჯარო მოქმედების მაქსიმალურ რაოდენობას, მრავალჭიდში გამარჯვებული გუნდი განისაზღვრება საჯარო მოქმედების მინიმალური რაოდენობით, რომელიც დაერიცხება გუნდს ჩქაროსნული მანევრირების, სროლის, საგზაო მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსისა და ავტოესტაფეტისათვის.

ერთნაირი შედეგების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც უკეთესი მაჩვენებლები აქვს ჩქაროსნულ მანევრირებაში. თუ კი ამ შემთხვევაშიც მაჩვენებლები თანაბარი იქნება, მაშინ მხედველობაში მიიღება შედეგები სროლაში. თუ შედეგები ამ შემთხვევაშიც ერთნაირი აღმოჩნდება, ასეთი გუნდებიდან ერთნაირი მაჩვენებლების მქონე თითო მონაწილე მსაჯთა კოლეგიის მითითებით შეასრულებს დამატებით სავარჯიშოებს.

გამარჯვებულთა დაჯილდოება

ზონაში გამარჯვებულ გუნდს და მის წევრებს აჯილდოვებს ზონის საორგანიზაციო კომიტეტი გარდამავალი პრიზით, სამახსოვრო დიპლომებითა და თასით.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი, რომელიც მრავალჭიდში მიღებული მინიმალური საჯარო მოქმედებით პირველ ადგილს დაიკავებს, ჯილდოვდება გარდამავალი თასით, სამახსოვრო პრიზითა და პირველი ხარისხის დიპლომით, ხოლო გუნდის წევრები პირველი ხარისხის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გუნდი, რომელიც მეორე ადგილს დაიკავებს, ჯილდოვდება მეორე ხარისხის დიპლომით, ხოლო მისი წევრები მეორე ხარისხის სიგელებით.

გუნდი, რომელიც უჩვენებს საუკეთესო შედეგს ჩქაროსნულ მანევრირებაში, ჯილდოვდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრან-

ავტოესტაფეტა შედგება ხუთი სავარჯიშოსაგან:

პ ი რ ვ ე ლ ი — მონაწილე № 1 იღებს სტარტს 15-20 მეტრის დაშორებიდან ავტომობილისაკენ, რომელიც დგას სწორკუთხედში (იხილეთ სქემა). მიირბენს რა მანქანასთან, ჩართავს ძრავას და წაიყვანს სწორკუთხედისაკენ — „ა“. გზად ასრულებს „კლაკნილ“ სელას, ეგრეთწოდებულ „კლაკნილას“. იგი აღინიშნება ოთხი დგარით, დეკორატიული აღმებით ზემოდან, შემზღულდველებს შორის მანძილი 6,0 მეტრია.

მ ე ო რ ე — გააჩერებს რა მანქანას სწორკუთხედში „ბ“, მონაწილე № 1 გამოდის კაბინიდან, როგორც კი კარი დაიხურება, მონაწილე № 2 ასწევს ყუთს, რომლის უჯრედებშიც იმყოფება ექვსი სფერო (სფეროები — ბურთები 110 მმ დიამეტრი, ამონაჭერი დაფაში — 30 მმ) და მოათავსებს კაპოტზე, შემდეგ ჩართავს ძრავას და მიიყვანს მანქანას სწორკუთხედში „ვ“, ისე რომ არ ჩამოვარდეს სფერო-ბურთი.

მ ე ს ა მ ე — მონაწილე № 2 აჩერებს მანქანას სწორკუთხედში „ვ“, თვითონვე იღებს კაპოტიდან ყუთს სფერო-ბურთებით და მიაქვს სწორკუთხედ „ზ“-სთან. მონაწილე № 3 წაიყვანს ავტომობილს სწორკუთხედისაკენ „გ“. გზად ასრულებს სავარჯიშო „წრე“-ს. ეს სავარჯიშო აღინიშნება ოთხი წყვილი ისეთივე სახელობის შემზღულდველით, როგორიც გამოიყენება „კლაკნილას“ შესასრულებლად. შიგნითა შემზღულდველები დაყენებულია წრეხაზის ცენტრიდან 3,8 მეტრზე, გარეთა 6,2 მეტრზე.

მ ე ო თ ხ ე — როგორც კი მანქანა გაჩერდება სწორკუთხედში „გ“, მონაწილე № 4 საჭესთან ჯდება და მიყავს ავტომანქანა სწორკუთხედში „დ“. გზად მან მარჯვენა საბურავებით უნდა გაიაროს 6,2 მეტრი სიგრძისა და 20 სანტიმეტრი სიგანის ფიცარი.

მ ე ხ უ თ ე — ბოლო მონაწილე № 5 იმყოფება 15 მეტრზე სწორკუთხედიდან „დ“. როცა მანქანა გაჩერდება სწორკუთხედში, მონაწილე № 5 მობრბის მასთან, ჩართავს ძრავას და მიემართება სწორკუთხედიდან „დ“-სთან. 20 მეტრის მანძილზე სწორკუთხედიდან „დ“ ბამაჟრას სიმაღლეზე კრონშტეინებზე იმყოფება ოვალური ფორმის ხის თამასა, რომელიც უნდა ჩამოგდებულ იქნას ერთჯერადი დამუხრუჭებით ისე, რომ არ წაიქცნენ კვგლები (დგარები), რომლებიც დგანან ხის თამასას უკან 30 სანტიმეტრზე (ინტერვალი კვგლებს შორის 30 სანტიმეტრია). როგორც კი შესრულდება დამუხრუჭება, მსაჯი აფიქსირებს ესტაფეტის დამთავრების დროს.

ესტაფეტის პირობების დარღვევისათვის დაირიცხება საჯარიმო ქულები:

ა) ყოველ წაქცეულ შემზღულდველზე — 7 ქულა;

ბ) ყოველ წაქცეულ კეგლზე ფინიშთან — 12 ქულა (თუ თამასა არაა ჩამოგდებული, ან ჩამოგდებულ იქნა ისე, რომ გადააფრინდა კეგლებს — 40 ქულა);

გ) ყუთიდან ამოვარდნილ ყოველ ჰაერბურთზე — 7 ქულა;

დ) თუ კი (6,5 მ) ფიცრიდან მის სრულ გავლამდე ჩამოვა თუნდაც ერთი თვალი — 10 ქულა;

ე) თუ ავტომობილის თვლები სავარჯიშოს შესრულების შემდეგ აღმოჩნდებიან სწორკუთხედის შემომსაზღვრელ ხაზზე, ან ხაზს გარეთ — 5 ქულა (მანევრირება აკრძალულია). სწორკუთხედის ზომები 3,2 × 1,7 მ, სიგანე ხაზისა 10 სმ.

3) თუ მონაწილემ სავარჯიშოს შესრულების შემდეგ არ ჩააქრო ძრავა — 7 ქულა.

ესტაფეტის შესრულებაზე დახარჯული დრო გადაიყვანება საჯარიმო ქულებში იმ ანგარიშით, რომ ერთი წამი ჩაითვალოს ერთ ქულად. ადგილები განისაზღვრება გუნდზე დარიცხული ქულების მინიმალური რაოდენობით, ხოლო რომელმაც სპორტსმენმა რომელი სავარჯიშო უნდა შეასრულოს — განისაზღვრება მსაჯთა კოლეგიის მიერ ჩატარებული კენჭისყრით.

ჩქაროსნული მანევრირება

ჩქაროსნულ მანევრირებაში ჩართულია ექვსი ფიგურა ქვემოთ ჩამოთვლილი რვიდან. მათი განლაგების თანმიმდევრობა და ავტომობილის მოძრაობის მიმართულება განისაზღვრება მსაჯთა კოლეგიით და გამოეცხადება მონაწილეებს შეჯიბრების წინ ვარჯიშის დროს. მსაჯთა კოლეგიას უფლება ეძლევა დაადგინოს საკონტროლო დრო „ფიგურების“ შესასრულებლად. ფიგურებს შორის მანძილი არა ნაკლებ 10 მეტრია. შემზღუდველებს შორის მანძილი — 1 მეტრი.

ავტომობილი იმყოფება სასტარტო ხაზზე (ხაზის სიგრძე 3 მეტრია, სიგანე 150 მმ). სპორტსმენი დგას ავტომობილთან, მსაჯის ნიშანზე ის ჯდება მანქანაში, ჩართავს ძრავას და გამოდის ტრასაზე.

სტარტებს შორის ინტერვალს განსაზღვრავს მსაჯთა კოლეგია იმ ანგარიშით, რომ ტრასაზე ერთდროულად ორზე მეტი სპორტსმენი არ აღმოჩნდეს და ერთმანეთს ხელი არ შეუშალოს.

ყველა ფიგურებს შორის და ფიგურებს შიგნითაც დასაშვებია ნებისმიერი მანევრირება. ავტომობილის კარის გაღება ნებადართულია მხოლოდ უკუსვლით მოძრაობის დროს.

ყოველმა მონაწილემ უნდა შეასრულოს ყველა სავარჯიშო (გაიაროს ყველა ფიგურა) დადგენილი თანმიმდევრობით. სპორტსმენი, რომელიც დაარღვევს თანმიმდევრობას, იღებს 60 საჯარიმო ქულას.

შემზღუდველების წაქცევაზე და სავარჯიშოების შესრულების წესის დარღვევაზე მონაწილეს ერიცხება საჯარიმო ქულები.

1. „წრე“. ორი კონცენტრირებული წრეხაზი, გარეთა 6 მეტრი და შიგნითა 3 მეტრი რადიუსით. კარის სიგანე 3 მეტრი. მონაწილე წრეხა სვლით შედის წრის სავალ ნაწილზე, საათის ისრის მოძრაობის მიმართაულებით შემოსწერს წრეს და გამოდის ისე, რომ არ წაიქცეს შემზღვეველები.

საჯარიმო ქულები: ყოველი შემზღვეველის შეხებაზე — 8 ქულა, კარების შემზღვეველის შეხებაზე — 12 ქულა. თუ მონაწილე შეეხო ექვს შემზღვეველს, სავარჯიშო შეუსრულებლად ითვლება, სავარჯიშოს შეუსრულებლობაზე ირიცხება 60 საჯარიმო ქულა.

2. „ბოქსი“ სწორკუთხედი (ბოქსი) სიგანით 195 სმ და სიგრძით 435 სმ განლაგებულია სწორი კუთხით მარჯვნიდან, როცა შევდივართ მოედანზე, რომლის სიგრძე 840 სმ-ია და სიგანე 740 სმ. მონაწილე სწავა რა პირდაპირი სვლით მოედანზე, უკუსვლით უნდა დააყენოს ავტომობილი ბოქსში ისე, რომ არ შეეხოს შემზღვეველებს.

საჯარიმო ქულები: თვითეული შემზღვეველის შეხებაზე — 8 ქულა, მოედანზე ან „ბოქსში“ არასრულ შესვლაზე — 20 ქულა.

ექვსი შემზღვეველის შეხების შემთხვევაში სავარჯიშო შეუსრულებლად ჩაითვლება. სავარჯიშოს შეუსრულებლობა ჯარიმდება 60 ქულით.

3. „კლაკნილა“. ხუთი შემზღვეველი დაყენებულია სწორ ხაზზე 575 სმ ინტერვალით და ქმნის ოთხ გასასვლელს. მონაწილემ თანმიმდევრულად უნდა გაიაროს ყველა გასასვლელი ისე, რომ არ შეეხოს შემზღვეველებს.

საჯარიმო ქულები: თითოეული შემზღვეველის შეხებაზე — 8 ქულა, ერთი გასასვლელის გამოტოვება — 20 ქულა, ერთზე მეტი გასასვლელის გამოტოვება ითვლება სავარჯიშოს შეუსრულებლობად. სავარჯიშოს შეუსრულებლობა ჯარიმდება 60 ქულით.

4. „ესტაფეტა“. ორი დგარი ერთმანეთისაგან 3000—4000 სმ-ითაა დაცილებული. ყოველ დგარზე პერპენდიკულარულად განლაგებულია 20 სმ სიგრძის კრონშტეინი. ის იმყოფება მოედნის ზედაპირიდან ავტომობილის კარის სარკმლის შუა ნაწილის სიმაღლეზე. „ესტაფეტას“ წარმოადგენს 20 სმ დიამეტრის 5—10 სმ სიჩქარის ხისტი რგოლი. მონაწილემ ავტომობილიდან გამოუსვლელად უნდა ჩამოხსნას ის რგოლი დგარიდან და ჩამოაცვას იგივე რგოლი მეორე დგარის კრონშტეინს, თუ კი რგოლი ვერ იქნა ჩამოხსნილი ან ვერ იქნა ჩამოცმული კრონშტეინზე, ანდა წაქცეულია დგარი მონაწილეებს ერიცხებათ 20 საჯარიმო ქულა.

5. თაღიანი „ჭიშკარი“. ორი კარი სიგანით 175 სმ დადგმულია ერთმანეთისაგან 240 სმ-ის მანძილზე. კარებს აღნიშნავენ ჰორიზონტალური კონსოლური შემზღვეველებით, რომლებიც იმყოფება ავტომობილის მაქსიმალურ გაბარიტულ სიგანეზე. გასასვლელის ზომების



კონტროლისათვის კართა სიგანე აღინიშნება მოედნის ზედაპირზე სათანადო ნიშნებით.

მონაწილემ პირდაპირი სვლით უნდა გაიაროს „ჭიშკარი“ ისე, რომ არ შეეხოს შემზღულდველებს.

საჯარიმო ქულები: ერთი შემზღულდველის შეხებაზე — 30 ქულა. ორი შემზღულდველის შეხება სავარჯიშოს შეუსრულებლობად ჩაითვლება.

სავარჯიშოს შეუსრულებლობაზე — ჯარიმა 60 ქულა.

6. „ნაკვლევი“. ორი წყვილი ხის ცილინდრული ნაჭერი ავტომობილის ერთი მხარის თვლებსათვის ქმნის გასავლელს, რომელიც ეტოლება საბურავების პროფილის სიგანეს (150 მმ) და დაიდგმება ერთმანეთისაგან 410 სმ მანძილზე. მონაწილემ წინა სვლით უნდა გაატაროს ავტომობილის წინა და უკანა მარჯვენა თვლები ისე, რომ არ შეეხოს მათ. ცილინდრის ყოველი წამოდება ჯარიმდება 15 ქულით.

7. „შესვლა სადგომზე“. სწორკუთხა მოედანი სიგრძით 630 სმ და სიგანით 185 სმ შემოსაზღვრულია სამი მხრიდან. მეოთხე ღია გრძელი მხარე აღნიშნულია ზედაპირული ხაზით. მონაწილემ უნდა შეიყვანოს და დაიყენოს ავტომობილი მოედანზე ისე, რომ არ შეეხოს შემზღულდველებს და ამ ავტომობილის გეგმილი არ ეხებოდეს მოედნის ღია მხარის ზედაპირულ ხაზს.

შემზღულდველის შეხებაზე — 8 ქულა, თუ ავტომობილის რომელიმე დეტალი სცდება მოედნის გაბარიტს — 20 ქულა, სავარჯიშო შეუსრულებლად ითვლება, თუ მონაწილე შეეხოს სამ შემზღულდველს — ჯარიმა 60 ქულა.

8. ხაზი „სდექ“. მოედნის ზედაპირზე მოძრაობის მიმართულების პერპენდიკულარულად გავლებულია საღებავებით 150 მმ-ის და 3 მეტრის სიგრძის ხაზით. მონაწილემ უნდა გააჩეროს ავტომობილი ისე, რომ პირველივე ცდით ორივე წინა თვლებმა იქონიონ კონტაქტი ხაზთან. ორივე თვლის ხაზთან კონტაქტის უქონლობისათვის ირიცხება ჯარიმა — 20 ქულა.

მონაწილის ჩასათვლელი შედეგი განისაზღვრება საჯარიმო ქულების ჯამით, რომლებიც დაერიცხებათ სავარჯიშოების შესრულებისას დაშვებული შეცდომებისათვის პლუს დრო (წამი — ერთი ქულა). თუ სპორტსმენმა ოფიციალურ საწვრთნელ ვარჯიშზე ვერ შეასრულა სამი სავარჯიშო, მსაჯთა კოლეგიას ნება ეძლევა არ დაუშვას ის ჩქაროსნულ მანევრირებაზე. ასეთ შემთხვევაში გუნდს ერიცხება 300 საჯარიმო ქულა.

სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან

იარაღს (სამამულო წარმოების მცირეკალიბრიანი შაშხანა — ტოზ-2 დამატებითი სამიზნით) და ვაზნებს უზრუნველყოფს ორგანიზატორი, სამიზნე № 7 დისტანცია 50 მეტრი. ვაზნების რაოდენობა —



8/3 საცდელი და 5 ჩასათვლელი). დრო საცდელ სროლაზე — 3 წუთი, ჩასათვლელზე — 5 წუთი. მდგომარეობაა: წოლითი, ხედრბანის დანადგარების გამოყენებით.

შედეგების განსაზღვრა: სპორტსმენს, რომელიც შეაგროვებს 50-ზე ნაკლებ ქულას, ერიცხება ჯარიმა, რომელიც ტოლია 50-ისა და შეგროვებულ ქულებს შორის სხვაობისა.

კორექტირება ნებადართულია მხოლოდ საცდელი სროლის დროს.

მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსი

მონაწილე იღებს ხუთ შეკითხვას წერილობითი სახით. ყველა არასწორ პასუხზე მას ერიცხება 15 საჯარიმო ქულა. პასუხებისათვის დროს განსაზღვრავს მსაჯთა კოლეგია.



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
 საქართველო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპროცესო
 საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს
 კოლეგიის, საქართველოს სსრ წითელი ჯვრის
 საზოგადოების პრეზიდიუმის 1982 წლის
 24 სექტემბრის გადაწყვეტილება**

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
 სახლების აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების,
 სასწავლო-აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობის
 შემდგომი გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკური
 დათვალიერების ჩატარების შესახებ**

სკკპ 26-ე ყრილობის შუქზე მოზარდი თაობის აღზრდის სისტემის სრულყოფის მიზნით სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის, სრულიად საკავშირო წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 23 ივლისის № 21-1-7/16-16-10/11 ერთობლივი დადგენილებით 1982 წლის 1 სექტემბრიდან 1984 წლის 1 სექტემბრამდე ტარდება საბავშვო სახლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების საკავშირო დათვალიერება.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და სამედიცინო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს:

1. 1982 წლის 1 ოქტომბრიდან 1984 წლის 1 სექტემბრამდე ჩატარდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების რესპუბლიკური დათვალიერება აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.
2. დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დათვალიერების დებულება (დანართი 1) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 2).
3. დათვალიერების შედეგები შეჯამდეს 1984 წლის ოქტომბერში.
3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სს რესპუბ-



ლიკების განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, სახალხო განათლებისა და ჯანდაცვის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებს, კომკავშირის რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტებს, წითელი ჯვრის საზოგადოების კომიტეტებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების დათვლიერებაში, ფართოდ გამოიყენონ შეფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, კომკავშირული ორგანიზაციების შესაძლებლობანი ინტერნატული დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

4. პედაგოგიურმა და კომკავშირულმა გაზეთებმა და ჟურნალებმა სისტემატურად გააშუქონ დათვლიერების მიმდინარეობა, ფართოდ განიხილონ საუკეთესო ინტერნატული დაწესებულებების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების, კომკავშირული ორგანიზაციების, წითელი ჯვრის საზოგადოების კომიტეტების, შეფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობა ინტერნატული დაწესებულებებისადმი ყოველმხრივი დახმარების მიმართებით.

5. აღნიშნულ დადგენილებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა დ ბავშვთა პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს, საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმს.

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **მ. შინქლაძე**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ხაჩიძე**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ბ. ლეშავა**

საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცანავა**

დ ე ვ უ ლ ე ბ ა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკური დათვალეირების შე ს ა ხ ე ბ

1. მიზნები და ამოცანები.

საბავშვო სახლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების რესპუბლიკური დათვალეირება ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ და მიზნად ისახავს:

1. 1. სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კომკავშირის, წითელი ჯვრის საზოგადოების ორგანოების მიერ ერთობლივი ღონისძიებების გატარებას ინტერნატული დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის, აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და საშუალო განათლების დროულად მიღებისათვის; მოსწავლეთა მომზადებას შრომისა და პროფესიის შერჩევისათვის;

1. 2. აღნიშნული დაწესებულებებისათვის ყოველმხრივი დახმარების გასაწევად საშეფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოზიდვას;

1. 3. სკოლისგარეშე, სამუსიკო, კულტურული, მხატვრული დაწესებულებებისა და სპორტული სკოლების ყურადღების გაძლიერებას საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა ყოველმხრივი განვითარებისათვის;

1. 4. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომ სრულყოფას;

1. 5. აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას, სამედიცინო-სანიტარულ უზრუნველყოფას, საზაფხულო დასვენების ორგანიზაციას, მათი ფიზიკური განვითარებისა და ჰიგიენური აღზრდისათვის პირობების შექმნას;

1. 6. დამხმარე მეურნეობებისა და სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მუშაობის გაუმჯობესებას და აღსაზრდელთა კვებისა და შრომითი აღზრდისათვის მათ ოპტიმალურ გამოყენებას.

2. დათვალეირების ჩატარების ორგანიზაცია და პირობები:

2. 1. საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების რესპუბლიკური დათვალეირება ტარდება 1982 წ. 1 სექტემბრიდან 1984 წლის 1 სექტემბრამდე;

2. 2. დათვალეირებაში მონაწილეობს ყველა ზოგადსაგანმანათ-



ლებლო სკოლა-ინტერნატი, სასკოლო ასაკის, სკოლამდელი და შერეული ტიპის საბავშვო სახლი;

2. 3. დათვალეირების ჩატარებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის იქმნება რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული საორგანიზაციო კომიტეტები შესაბამისი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, კომკავშირის კომიტეტების, წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. საორგანიზაციო კომიტეტებში, აგრეთვე, შევლენ პრაქტიკოსი მუშაკები: პედაგოგები, ექიმები, მზრუნველთა საბჭოს წევრები, საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

2. 4. რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული საორგანიზაციო კომიტეტები:

— ორგანიზაციას უკეთებენ დათვალეირებას რესპუბლიკაში, ოლქში, ქალაქში, რაიონში, შეიმუშავენ დათვალეირების ჩატარების გეგმას, აკონტროლებენ მის შესრულებას;

— ქვემდგომ საორგანიზაციო კომიტეტებს, ინტერნატულ დაწესებულებებს, აღმინისტრაციას, პედაგოგიურ კოლექტივს, სამედიცინო პერსონალს ორგანიზაციულ-მეთოდურ დახმარებას უწევენ დათვალეირების ჩატარების დროს;

— სწავლობენ, განაზოგადებენ და ავრცელებენ საუკეთესო საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების გამოცდილებას; ასევე ინტერნატული დაწესებულებების შეფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კომკავშირული ორგანიზაციების, წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების დახმარების გამოცდილებას;

— ინტერნატული დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის შეიმუშავენ წინადადებებს და შეაქვთ განსახილველად პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, სამინისტროებსა და უწყებებში;

— აჯამებენ დათვალეირების შედეგებს და უღვენენ ზემდგომ საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგ მასალებს: დასკვნითი კრების ოქმი, დათვალეირების მიმდინარეობისა და შედეგების ანგარიში, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა, დათვალეირებაში გამარჯვებული სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ანექტური მონაცემები.

2. 5. რესპუბლიკური დათვალეირების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან აღნიშნული სამინისტროებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები;

2. 6. დათვალეირებაში გამარჯვებულთა გამოვლინებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას:

— სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში სასწავლო-მატერია-

ლური ბაზის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა გატარების ხისტი-ტურობა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა, აღსაზრ-დელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მათი მავალი და რბილი ინვენტარით სრული უზრუნველყოფა;

— აუცილებელი სასწავლო ბაზის არსებობა (კლასები, კაბინეტები, სპორტდარბაზი, თვითმომზადების, დასვენებისა და გართობის ოთახე-ბი, სწავლების ტექნიკური საშუალებანი, თვალსაჩინოებანი, საბიბლიო-თეკო ფონდი) სათანადო რაოდენობის მხატვრული, მეთოდური ლიტე-რატურითა და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, სათანადო ბა-ზის არსებობა თვითმომსახურებისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის (სახელოსნოების კეთილმოწყობა, ინვენტარი, გასახდე-ლები, სპეცტანსაცმელი და სხვა), სათამაშო და ღია სპორტული მოედ-ნები, დამხმარე მეურნეობა;

— აღსაზრდელთა უზრუნველყოფა ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით, დისპანსერში აღრიცხვაზე მყოფ ავადმყოფ ბავ-შვთა კვების ორგანიზაცია;

— სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლის დაკომპლექტება პედა-გოგიური და სამედიცინო კადრებით, მომსახურე პერსონალით;

— აღსაზრდელთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიებები;

— საბავშვო სახლის კავშირი სკოლასთან, სასკოლო ბაზის გამო-ყენება (სასწავლო კაბინეტები, სპორტდარბაზი, მოედნები, ბიბლიოთე-კა);

— აღსაზრდელთა ყოველმხრივი განვითარების მიზნით კულტუ-რულ, სკოლისგარეშე დაწესებულებათა, სამუსიკო, მხატვრული, სპორ-ტული საზოგადოებების, საშეფო დაწესებულებების შესაძლებლობათა გამოყენება;

— კვირა და უქმე დღეებში შემეცნებით-აღმზრდელობითი მუშაო-ბის ორგანიზაცია, საექსკურსიო და სამხარეთმცოდნეო მუშაობა;

— აღსაზრდელთა პროფორიენტაცია, VIII და X (XI) კლასების მოსწავლეთა შრომითი მოწყობა, საშუალო განათლების მიღების მდგო-მარეობა, დახმარების გაწევა ყოფილი აღსაზრდელებისათვის, რომლე-ბიც მუშაობენ ან სწავლას აგრძელებენ, მათი საცხოვრებლით უზრუნ-ველყოფა;

— სახალხო განათლების ორგანოების სისტემატური კონტროლი ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთათვის სათანადო პირო-ბების შექმნაზე, შენობების სანიტარულ მდგომარეობაზე, სითბურ რე-ჟიმზე, განათებაზე;

— სამედიცინო კაბინეტებისა და იზოლატორების, აღსაზრდელთა სამედიცინო შემოწმების მდგომარეობა არსებული ნორმების შესაბა-მისად, ღრმა სამედიცინო შემოწმება, ღონისძიებათა ჩატარების მდგო-მარეობა აღსაზრდელთა მკურნალობისა და დროული გამოჯანმრთელე-ბის მიზნით;

— ყოველ საბავშვო სახლსა და სკოლა-ინტერნატში წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის არსებობა, აღსაზრდელთა-გან სამედიცინო-სანიტარულ წრეებში სანიტარული აქტივის მოწოდება და მათში სანიტარული აქტივისტების მიზიდვა მედიცინის მუშაკთა დასახმარებლად სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სანიტარულ-გამაჯანსაღებელ და სანიტარულ-განმანათლებელ ღონისძიებებში; სანიტარული საგუშაგოებისა და სანიტარული კუთხეების შექმნა და მათთვის აუცილებელი აღჭურვილობის შექმნა;

— აღსაზრდელთა პირადი და საზოგადოებრივი პიგიენის დონე.

3. დათვალიერების შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

3. 1. დათვალიერების შედეგები საორგანიზაციო კომიტეტების მიერ ჯამდება ყოველწლიურად რაიონებში და ქალაქებში 15 სექტემბრამდე, ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში — 1-ელ ოქტომბრამდე, მოკავშირე რესპუბლიკებში — 15 ოქტომბრამდე;

3. 2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ საქართველოს ალკ ცენტრალურ კომიტეტთან, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან ერთად საორგანიზაციო კომიტეტების მიერ წარმოდგენილი დათვალიერების შედეგების განზოგადების საფუძველზე სსრკ განათლების სამინისტროსთან არსებულ საორგანიზაციო კომიტეტს წარედგინება დასკვნითი ინორმაცია 1984 წლის 25 ოქტომბრისათვის;

3. 3. საკავშირო დათვალიერების შეჯამებისათვის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი სსრკ განათლების სამინისტროში გზავნის მასალებს რესპუბლიკაში გამარჯვებული ორი საბავშვო სახლისა და ზუთი სკოლა-ინტერნატის შესახებ;

3. 4. საკავშირო დათვალიერების მონაწილე საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების კოლექტივები ჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით, დიპლომებითა და სიგელებით;

3. 5. საწარმოები და დაწესებულებები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომლებიც ინტერნატულ დაწესებულებებს ეფექტურ საშეფო დახმარებას უწევენ, ასევე ჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით, დიპლომებითა და სიგელებით.

საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების რესპუბლიკური დათვალეობების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

- მ. კ. კობახიძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
- ი. თ. ჭოჭუა — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
- მ. ი. ხაჩიძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
- ვ. პ. ლუტიძე — საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
- რ. ვ. მღებრიშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი (საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი)
- პ. მ. თუთბერიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი
- გ. კ. ბუკია — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლეთა ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
- ე. ვ. ჯანელიძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს უფროსი
- მ. გ. ჯორბენაძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოს სანიტარული განყოფილების უფროსი
- ვ. ნ. მელაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მეთოდკაბინეტის დირექტორი
- ც. ე. ხიტალიშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი
- ა. გ. გოგელია — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი
- ვ. ვ. ქადაგიძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლეთა ახალგაზრდობის განყოფილების ინსტრუქტორი
- ნ. ს. დავითიანი — საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის უფროსი ინსტრუქტორი
- რ. ა. ხუზაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს ინსპექტორი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს
სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიებისა და საქართველოს
სსრ თეატრალური საზოგადოების კრედიტის
1982 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკაში თეატრალური ხელოვნების კვირეულის „თეატრი და
ბავშვები“ ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს
სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიების და საქართველოს სსრ თეა-
ტრალური საზოგადოების პრეზიდიუმის 1974 წლის 27 დეკემბრის
დადგენილების „მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივ აღზრდა-
ში თეატრის როლის გაძლიერების შესახებ“ შესაბამისად თეატრალუ-
რი ხელოვნების მე-8 რესპუბლიკური კვირეული „თეატრი და ბავშვებ-
ი“ მიეძღვნას საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს, ჩატარ-
დეს 13—20 დეკემბერს. საზეიმო გახსნა მოეწყოს 12 დეკემბერს ქ.
ახალციხეში, კვირეულის დასკვნითი საღამო ჩატარდეს 20 დეკემბერს
ქ. თბილისში.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობი-
თი მუშაობის სამმართველომ აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლი-
კურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა კულტურის სამინისტროსა და
თეატრალურ საზოგადოებასთან შეთანხმებით 1982 წლის 25 ოქტომ-
ბრამდე შეიმუშაოს კვირეულის ჩატარების გეგმა და უხელმძღვანელოს
მის მსვლელობას რესპუბლიკაში.

3. სახალხო განათლებისა და კულტურის ადგილობრივმა განყოფი-
ლებებმა, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტე-
ტებმა, თეატრალური საზოგადოების განყოფილებებმა, თეატრებმა, ზო-
გადსაგანმანათლებლო სკოლებმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა
უზრუნველყონ ადგილებზე თეატრალური ხელოვნების კვირეულის მა-
ღალ დონეზე ჩატარება. გამოიყენონ იგი თეატრისა და სკოლის ურთი-
ერთობის განსამტკიცებლად.

4. თეატრალური ხელოვნების კვირეულის „თეატრი და ბავშვები“
ჩატარებისათვის საჭირო თანხები გაღებულ იქნას წილობრივი წესით.

5. დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის შე-
მადგენლობა (დანართი № 1).

6. ჟურნალების: „საბჭოთა ხელოვნება“, „სკოლა და ცხოვრება“,
„თეატრალური მოამბე“, გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციებმა
ფართოდ გააშუქონ თეატრალური ხელოვნების კვირეულის მიმდინარე-
ობა.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, გაზეთების: „ახალგაზრდა კომუნისტ“, „ნორჩი ლენინელი“, „მოლოდიოჟ გრუზიი“ რედაქციებს გააშუქონ რესპუბლიკაში თეატრალური ხელოვნების კვირეულის მსვლელობა.

8. კონტროლი კვირეულის ორგანიზაციასა და ჩატარებაზე ღონისძიებას უზღვევოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ო. ძინქლაძე**

საქართველოს სსრ კულტურის
მინისტრი **ო. თაქთაქიშვილი**

საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **დ. ალექსიძე**

საორგანიზაციო კომიტეტი

1. დარჩია მ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
2. გამრეკელი ი. — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე
3. ალექსიძე დ. — საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე
4. შენგელია თ. — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების სექტორის გამგე
5. ზარქუა ე. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
6. მღვივანი თ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორი
7. კეჭყემაძე ჯ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორის მოადგილე
8. ჩიქვანია ლ. — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი
9. წულუკიძე ვ. — აჭარის ასსრ განათლების მინისტრი
10. ფუხაევა ფ. — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგე
11. კოდონია თ. — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი
12. კობაძე ე. — ახალციხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე
13. მახარაძე გ. — აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი
14. არგური ა. — აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი
15. ახვლედიანი ც. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ესთეტიკის განყოფილების გამგე
16. გურაბანიძე ნ. — ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი
17. შველიძე ნ. — გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი
18. ჩხარტიშვილი მ. — საქართველოს სსრ ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქტორი
19. გოგელია ა. — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორი
20. ზომერიკი თ. — საქართველოს სსრ ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის საბავშვო გადაცემათა რედაქტორი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითების
დროულად შეუსრულებლობის შე ს ა ხ ე ბ



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოვიდა ქ. თბილისის 79-ე საშუალო სკოლის მასწავლებლის დ. ს. მიტრიაკოვიჩის განცხადება 1981—1982 სასწავლო წელს მისთვის კვირეული დატვირთვის უკანონოდ შემცირების შესახებ.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის 39-ე მუხლის „ა“ ქვემუხლის შესაბამისად ქ. თბილისის გლდანის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ყ. ხელაშვილს მიმდინარე წლის 12 მარტს მიეცა მითითება 10 დღის ვადაში დაებრუნებინა მასწავლებელ დ. ს. მიტრიაკოვიჩისათვის ჩამორთმეული საათები, რაც ფაქტიურად განათლების გენყოფილებამ და სკოლამ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ვერ განახორციელეს.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დავალების დროულად შეუსრულებლობისათვის მკაცრად იქნან გაფრთხილებული გლდანის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ამხ. ყ. ხელაშვილი და 79-ე საშუალო სკოლის დირექტორი ე. კობალეიშვილი, რომ მომავალში მსგავსი მოქმედებისათვის მათ წინააღმდეგ გატარებული იქნება მკაცრი ზომები.

მინისტრი ო. ძინძლაძე

ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ
ГРУЗИНСКОЙ ССР

О несвоевременном выполнении указания Министерства просвещения Грузинской ССР

12 октября 1982 года, № 767



В Министерство просвещения Грузинской ССР поступило заявление учительницы средней школы № 79 г. Тбилиси Митрякович Д. С. о незаконном сокращении ее недельной нагрузки в 1981—1982 учебном году.

В соответствии с пунктом «а» статьи 39 внутреннего распорядка школы, утвержденного Министерством просвещения СССР, заведующей Глданским районным отделом народного образования г. Тбилиси тов. Ж. Хелашвили 12 марта текущего года было дано указание в десятидневный срок вернуть учительнице Митрякович Д. С. отобранные у нее часы, что фактически отдел народного образования и школа не смогли осуществить до начала нового учебного года.

Исходя из вышеизложенного, **п р и к а з ы в а ю:**

за несвоевременное выполнение поручения Министерства просвещения Грузинской ССР заведующую Глданским районным отделом народного образования тов. Ж. Хелашвили и директора средней школы № 79 г. Тбилиси тов. Е. Копалеишвили строго предупредить.

В дальнейшем, за подобное нарушение, в отношении них будут приняты строгие меры.

Министр

О. КИНКЛАДЗЕ



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალურ
აპარატში მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და
საჩივრების საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების
შ ე ს ა ხ ე ბ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 13 ოქტომბრის № 986 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 15 თებერვლის № 94 დადგენილების „სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების საქმისწარმოების წესის შესახებ“ შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ჯ ა:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების საქმისწარმოების შესახებ და შემოღებულ იქნას 1983 წლის 1 იანვრიდან.

2. სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და განყოფილებების უფროსებმა:

2. 1. 1983 წლის 1 იანვრამდე გააცნონ აღნიშნული ინსტრუქცია ყველა მუშაკს;

2. 2. უზრუნველყონ მუშაობა მოქალაქეთა წერილებზე დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

3. აღმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსმა (ამხ. ბ. კაციტაძე) მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩაატაროს მეცადინეობანი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და განყოფილებების საქმისწარმოებლებთან და მდივან-სტენოგრაფისტებთან აღნიშნული ინსტრუქციის შესასწავლად.

4. სამნეო ნაწილის გამგემ (ამხ. ტ. რთველიაშვილი) აღმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსის განაცხადის მიხედვით შეუკვეთოს სტამბას სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათები და დაამზადებინოს მათთვის კარტოთეკები.

5. აღნიშნული ინსტრუქციის შემოღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატში მოქალაქეთა წერილების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ.

6. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებისადმი დაეკისროს აღმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსს ამხ. ბ. კაციტაძეს.

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების
სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებში მოქალაქეთა
წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების
საქმისწარმოების შესახებ

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების საქმისწარმოება მიმდინარეობს საქმისწარმოების სხვა სახეებისაგან განცალკევებულად; საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება ერთ მუშაკს კანცელარიიდან.

პირადი პასუხისმგებლობა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების საქმისწარმოების მდგომარეობისადმი ეკისრებათ უშუალოდ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს. ისინი სისტემატურად ამოწმებენ საქმისწარმოების მდგომარეობას და ღებულობენ ზომებს ამ მუშაობის სრულყოფისათვის.

2. დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შემოსული მოქალაქეთა ყველა წინადადება, განცხადება და საჩივარი უნდა იყოს მიღებული, აღრიცხული, ცენტრალიზებული და რეგისტრირებული სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათში (ფორმა თან ერთვის) მისი მიღების დღესვე.

კონვერტები ინახება იმ შემთხვევებში, როცა მხოლოდ მათი მეშვეობით ხდება გამომგზავნის მისამართის დადგენა ან მაშინ, როცა საფოსტო შტემპელის თარიღი აუცილებელია წინადადების, განცხადების ან საჩივრის გაგზავნის ან მიღების დასადასტურებლად, აგრეთვე სხვა აუცილებელ შემთხვევებში.

მოქალაქეთა პირადი მიღების დროს მათი წერილობითი და ზეპირი წინადადებები, განცხადებები და საჩივრები, აგრეთვე ექვემდებარებიან ცენტრალიზებულ რეგისტრაციას სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათებში.

წინადადების, განცხადების, საჩივრის სარეგისტრაციო ინდექსი აღინიშნება სარეგისტრაციო შტამპზე. სარეგისტრაციო ინდექსი შედგება ავტორის გვარის საწყისი ასოს და შემოსული წინადადების, განცხადების, საჩივრის რიგითი ნომრისაგან. სარეგისტრაციო ინდექსს შეიძლება დაემატოს სხვა აღნიშვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების სისტემატიზაციას, ძებნას, ანალიზსა და დაცულობას.

3. განმეორებით მიღებულ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს მიეკუთვნება შორივი სარეგისტრაციო ინდექსი, ხოლო სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათის შესაბამის სვეტში აღინიშნება პირველი წინადადების, განცხადების, საჩივრის სარეგისტრაციო ინდექსი. განმეორებით მიღებული წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების მარჯვენა ზედა კუთხეში და აგრეთვე სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათებში აღინიშნება „განმეორებით“ და იკრიბება მთელი წინა პერიოდის მიმოწერა.

განმეორებით მიღებულ წინადადებად, განცხადებად ან საჩივრად უნდა ჩაითვალოს ის წინადადება, განცხადება ან საჩივარი, რომელიც მიღებულია ერთი და იგივე პირისაგან ერთსა და იმავე საკითხზე, თუკი პირველი წინადადების, განცხადების ან საჩივრის შემოსვლის დროიდან ამოიწურა მისი განხილვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა ან განმცხადებელი უკმაყოფილოა გაცემული პასუხით.

ერთსა და იმავე საკითხზე ერთი და იგივე პირის მიერ სხვადასხვა აღრესატებზე გაგზავნილი წინადადებები, განცხადებები და საჩივრები, რომლებიც განსახილველად ერთსა და იმავე სახელმწიფო ორგანოში შემოვიდა, გაითვალისწინება პირველი წინადადების, განცხადების, საჩივრის სარეგისტრაციო ინდექსის ქვეშ და დაემატება რიგითი ნომერი წილადის ხაზით (1, 2, 3 და ა. შ.).

4. სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათებისა და ჩვეულებრივი ბარათების ეგზემპლართა რაოდენობა განისაზღვრება აღრიცხვის უზრუნველყოფის აუცილებლობით.

ბარათების ფორმირება ხდება ანბანური წესით განლაგებულ იმ პირთა გვარების მიხედვით, რომელთაგან შემოვიდა წინადადებები, განცხადებები და საჩივრები, წერილებში აღძრული საკითხების თემატიკის მიხედვით.

აუცილებლობის შემთხვევებში შეიძლება მოქალაქეთა გვარების ანბანური მაჩვენებლის შემოღება.

5. კონტროლი მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროული გადაწყვეტისადმი ეკისრებათ თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან დროულად, სწორად და სრულყოფილად განიხილონ წერილები და შეასრულონ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების გარშემო მიღებული გადაწყვეტილებები.

დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში გადაგზავნილი მოქალაქეთა წერილები, რომლებიც წინადადებების, განცხადებების, საჩივრების განხილვის შედეგების შეტყობინებას ითხოვენ, ირიცხებიან განსაკუთრებულ კონტროლზე.

ასეთ შემთხვევაში სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათების ყველა ეგზემპლარზე, აგრეთვე წინადადებებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე კეთდება შტამპი — კონტროლი“ ან კონტროლის ნიშანი „კ“.

მოქალაქეთა წინადადებები, განცხადებები და საჩივრები, რომლებზეც ხდება შუალედური პასუხების გაცემა, კონტროლიდან არ იხსნება. კონტროლი მთვრდება მხოლოდ წინადადების, განცხადებისა და საჩივრის განხილვის შედეგებიდან გადაწყვეტილების გამოტანის და ამომწურავი ზომების მიღების შემდეგ. მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების კონტროლიდან მოხსნის გადაწყვეტილებას ღებულობენ ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და სხვა თანამდებობრივი პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოქალაქეთა წერილების დროულ და სწორ განხილვაზე.

